განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

## ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
## დასკვნა

| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
| --- |
| **თავმჯდომარე:** ია გელენიძე |
| **წევრები:** |
| მარინა გედევანიშვილი |
| ნატო გაბოშვილი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი 2018 წელი*

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:  საჯარო სამართლის იურიდიული პირი(სსიპ)

საიდენტიფიკაციო კოდი: -211328703

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [ ] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების N506 - 14/06/2018, საფუძველზე , ბრძანება-N1446 31.05 , ასევე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 -მე-8 მუხლებით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2018 წლის 2,3 და 4 ივლისს. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტი ექსპერტთა მიერ წინასწარ შემუშავებულ დღის წესრიგის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ, წინასწარ გაცნობოდნენ ელექტრონულად წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კერძოდ: თვითშეფასების განაცხადს, საგანმანათლებლო პროგრამებს; დამტკიცებს აქტებს; პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას; პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესს; პროგრამის გაუქმების შმთხვევაში სწავლის შემდგომი უზრუნველყოფის მექანიზმებს; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას;ამონაწერს რეესტრიდან, საკადასტრო გეგმას; შენობა-ნაგებობების შიდა აზომვით ნახაზებს; დადგენილებას სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ; ხელშეკრულებებს ინტერნეტ პროვაიდერებთან, საქმისწარმოების წესს და სხვ. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ მატერიალური სახით წარმოდგენილ დოკუმენტაციას.
ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დაწესებულების ადმინისტრაციას, პერსონალს, სტუდენტებს, ასევე, ექსპერტთა ჯგუფს მიეცა საშუალება, მოენახულებინათ პრაქტიკის ობიექტები.

ვიზიტის დაწყებისას დაწესებულების მხრიდან გამოყოფილ იქნა საკონტაქტო პირი, ვის მიერაც ხდებოდა საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დოკუმენტაციის მოწოდება და დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრების (ხარისხის სამსახური, ადმინისტრაციის წევრები, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ, პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა) ორგანიზება. ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისად.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმებით დგინდება, უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ივსება მხოლოდ ავტორიზაციის ვიზიტისას, ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით*

| მდგომარეობა | სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | ფართი | მისამართების რაოდენობა და მდებარეობა |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი | 1-20 | 1-5 | 1-20 | 1-500 კვ.მ. | ერთ მისამართზე |
| არსებული | 21-50 | 6-10 | 21-50 | 501-1500 კვ.მ. | სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში |
| | 51-150 | 11-15 | 51-100 | 1501-3000 კვ.მ. | სხვადასხვა მუნიციპალიტეტში |
| | 151-500 | 16-20 | 101-150 | 3000-5000 კვ.მ. | |
| | 501 და მეტი | 21 და მეტი | 151 და მეტია მეტი | 5001 და მეტი კვ.მ. | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი 2018 წელი*

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | | | |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | | |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | | |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | | |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | მუხლი 7 / პუნქტი ა.ა) | | |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ) | | |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | | |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | მუხლი 7 / პუნქტი გ) | | |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | მუხლი 7 / პუნქტი დ) | | |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | მუხლი 7 / პუნქტი ე) | | |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | | |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა) | | |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ) | | |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ) | | |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ) | | |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო | მუხლი 7 / | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | პუნქტი ზ) | | |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

1. სსიპ- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს საკუთარ მფლობელობაში აქვს კლინიკური ბაზები (პოლიპროფილური კლინიკები), რაც სრულად უზრუნველყოფს სტუდენტთა შემდგომი დასაქმების პროცესს.
   ადგილზე, ობიექტებზე ვიზიტისას, ინტერვიურებით დაფიქსირდა მათ მიერ უკვე დასაქმებული ახალგაზრდები, რომლებიც პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროგრამის კურსდამთავრებულები არიან (1. თსსუ. გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა. 2. თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სსიპ- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ფლობს საუკეთესო პრაქტიკული უნარჩვევების ცენტრს , სადაც მიმდინარეობს რეალურ საწარმოო გარემოსთან მიახლოებული პროცესები, პრაქტიკას სტუდენტები გადიან ადგილზე;

კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი მოიცავს 18 ლაბორატორიულ კლასს:

თითოეული პროგრამის მიხედვით ცენტრის ხელმძღვანელის მიერ უზრუნველყოფილია სილაბუსებისა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ინსტრუქტაჟების ვიზუალური დოკუმენტაცია, რომელიც თითოეული კლასისათვის არის ხელმისაწვდომი. ამასთან, ყოველი კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლის ეტაპისათვის შემუშავებულია ჩეკლისტები და თითოეულ აუდიტორიაში (სპეციფიკის მიხედვით) არის განლაგებული.

უნარ-ჩვევების ცენტრში ყველა აუდიტორია N1-დან N18 -ის ჩათვლით უზრუნველყოფილია სრულად სიმულატორებით (უნივერსალური მოვლისა და მართვის პრინციპების გათვალისწინებით).

ცენტრში დანერგილია და უკვე მიმდინარეობს პრაქტიკული გამოცდა ახალი მეთოდით და პროცესის შეფასების კონტროლი „ხმის" , კომპიუტერული სისტემით ხორციელდება.

უნარჩვევების ცენტრის აღჭურვა და პრაქტიკის განმახორციელებელი მასწავლებლების საგანმანათლებლო შესაძლებლობები სრულად უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის კლინიკასთან მიახლოვებული ადაპტირებული გარემოს შექმნას, რაც პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის გარანტიაა.

დაწესებულების გამოცდილება და მსგავსი მიდგომა , კლინიკური უნარჩვევების სწავლებისათვის , გააუმჯობესოს და განავითაროს რესურსები , მისაბამია და სრულად უზრუნველყოფს უნარების შეუფერხებელ ტრანსფერს რეალურ საწარმოო გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------- 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1. მიზანშეწონილია სტრუქტურულ დონეზე ერთმანეთისგან გაიმიჯნოს პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/დამტკიცება/ განხორციელებაზე უფლებამოსილი სუბიექტები.
2. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი", დამტკიცებული თსსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 17 სექტემბრის N24/1 დადგენილებით (შეტანილი ცვლილებებით), რომელშიც არ ფიგურირებს პროფესიული სტუდენტი(ჩანაწერი), ასევე შინაარსობრივად არ ჩანს პროფესიული სტუდენტის შეფასების თავისებურებები, სასურველია შემუშავდეს ცალკე დამოუკიდებელი მარეგულირებელი დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში.
3. ქვესტანდარტი 3.3. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებიდან ვ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის შსახებ პუნქტი და ზ)ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობისა და შვებულების გაცემის წესის შესახებ პუნქტი დარეგულირებული აქვს - აკადემიური საბჭოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე ბრძანებით კონკრეტული შემთხვევების შესაბამისად, ასევე საქართველოს შრომის კოდექსით, რომელზეც მითითებას ახდენს დაწესებულების მიერ შემუშავებული შრომითი ხელშეკრულება ჩანაწერით, ანაზღაურების ოდენობა კი დადგენილია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და ამ ინფორმაციაზე წვდომა აქვს თითოეულ დასაქმებულს - ვებგვერდზე http://new.tsmu.edu/content/2/50/12/30/0/0 „ სსიპ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრემიის, დანამატის, დახმარებისა და ფულადი ჯილდოს ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის" შესახებ დებულება ; ხელშეკრულებაში ჩანაწერი იმის შესახებ , რომ შიდა განაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ამ დოკუმენტით - მუხლი 41. „დასაქმებულის სამუშაო დრო და მისი გამოყენება", მე-5;მე-6;მე-7;მე-8; პუნქტებითაა განსაზღვრული, რეკომენდირებულია ეს პუნქტები სრულად და დეტალურად გაიწეროს ხელშეკრულებაში.

4. ქვესტანდარტი 1.2. ვიზიტის ფარგლებში შეფასების საფუძველზე გამოვლინდა , რომ კატალოგი არ მოიცავდა:

- ინფორმაციას დაწესებულების შესახებ,
- ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ
- შეფასების სისტემას.

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად დაწესებულებამ ვიზიტის დასრულების შემდგომ შეიტანა ცვლილება კატალოგში და ასახა ინფორმაცია : 1. სწავლის შედეგების შესახებ და 2. შეფასების სისტემის შესახებ. ასევე ვებგვერდის მთავარ მენიუში, რუბრიკაში „ჩვენს შესახებ" ( რომელიც ხილვადია ნებისმიერ კონტენტზე გადასვლისას) , დაწვრილებით არის მოცემული ინფორმაცია დაწესებულების შესახებ http://new.tsmu.edu/content/2/0/0/0/0/0 . რაც ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ , დასკვნის პროექტის საპასუხოდ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციითაც დასტურდება.

**რადგან კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სავიზიტო ბარათს,** სასურველია, იგი დაიხვეწოს, შეივსოს მოთხოვნილი ინფორმაციით, ასევე სასწავლო დისციპლინების აღწერილობა უფრო დაკონკრეტდეს (მაგალითად საგანში: „კლინიკური უნარ-ჩვევები" ძალიან მოკლედაა მითითებული რომ სტუდენტმა უნდა შეისწავლოს (ალბათ უმჯობესია დაეუფლოს) კლინიკური უნარ-ჩვევების ტექნიკას, სასურველია დაკონკრეტდეს.გარდა სტანდარტით მოთხოვნილი მინიმალური ინფორმაციისა, ასევე კატალოგი შეიძლება მოიცავდეს სხვა ინფორმაციას, რისი მიწოდებაც დაწესებულებას სურს ფართო საზოგადოებისათვის. მათ შორის დაწესებულების მიერ მიწოდებული სხვა სერვისების, აქტივობების, მიღწევების შესახებ. ასევე ფოტოებს და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.

6. აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ გამოცემული ოქმების და სტუდენტთა ხელშეკრულებების რეგისტრაცია არ მიმდინარეობს, ხდება მხოლოდ თარიღების მიხედვით აკინძვა და შენახვა. სასურველია სამომავლოდ დარეგისტრირდეს აკადემიური საბჭოს ოქმები და სტუდენტთა ხელშეკრულებები.

VII. დაწესებულების მისია

<u>დაწესებულების მისიაა</u>

- დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლებაში სწავლების, კვლევის და პროფესიული მზადების გზით ახალი ცოდნის შექმნა და გავრცელება,
- მონაწილეობა მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის ამაღლების, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებასა და განხორციელებაში,
- კურსდამთავრებულების აღჭურვა ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის აუცილებელი ცოდნით და უნარებით.

<u>ხედვა</u>

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლება, კვლევა და სამედიცინო და ფარმაცევტული
საქმიანობა ურთიერთისგან განუყოფელია.

უმაღლესი სამედიცინო განათლების კონტინიუმის პრინციპი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი, სარეზიდენტო და უწყვეტი პროფესიული განვითარების, სამედიცინო და პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების ფართომასშტაბური მოქმედებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს განსხვავებული საჭიროებების სტუდენტზე ორიენტირებულ და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტების შეფასება

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 2013 -2014 სასწავლო წლიდან ახორციელებს პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც საგნობრივი ტიპისაა , რომელიც ეფუძნება პროფესიულ სტანდარტს და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მილევად რეჟიმში.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო, პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების სისტემის შესაბამისად.

პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის მე-2 და მე-3 მუხლების მოთხოვნებთან.

პროგრამასა და სილაბუსებში დეტალურადაა აღწერილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე კრედიტების გაანგარიშება ხდება სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების,შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის , ასევე მიღებული განათლების აღიარებისა და გაანგარიშების წესის შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი არ აპირებს დამატებით სტუდენტების მიღებას მათ შორის - არც მობილობის წესით , თუმცა უზრუნველყოფს არსებული პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის დასრულების ხელშეწყობას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მოცემულია პროგრამის სახელწოდება, პროფესიული განათლების საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა), პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, ინფორმაცია პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. პროგრამებს თან ერთვის სასწავლო კურსების სილაბუსები. სილაბუსებში მოცემულია სასწავლო კურსის მიზანი, მოცულობა, სწავლის შედეგი, კურსის შინაარსი, პროფესიული სტუდენტის შეფასება, სასწავლო კურსის წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სავალდებულო/დამხმარე ლიტერატურა, ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ. **პროგრამაში წარმოდგენილი კრედიტების რაოდენობა** შეესაბამება სილაბუსებში გაწერილ საათების რაოდენობას და სწავლის შედეგებზე გასვლის მტკიცებულება წარმოდგენილია/ **დასტურდება ადგილზე , შეფასების უწყისებით.**

შემოწმდა სტუდენტთა შეფასების ტესტური კითხვარები შუალედური და დასკვნითი გამოცდების შესაბამისად.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დაწესებულებას, როგორც პროფესიული, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ნაწილში მსგავსი რეგულაციები აქვს შემუშავებული. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი სუბიექტიც ორივე შემთხვევაში არის აკადემიური საბჭო. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, კერძოდ კი, მიზანშეწონილია სტრუქტურულ დონეზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთმანეთისგან გაიმიჯნოს პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/დამტკიცება/ განხორციელებაზე უფლებამოსილი სუბიექტები.

დაწესებულებას აქვს სიმულაციური გარემო, სადაც მიმდინარეობს რეალურ საწარმოო გარემოსთან მიახლოებული პროცესები, პრაქტიკას სტუდენტები გადიან ადგილზე, უნარ-ჩვევების ცენტრი სრულად უზრუნველყოფს უნარების შეუფერხებელ ტრანსფერს რეალურ საწარმოო გარემოში.

დაწესებულება საკუთრებაში ფლობს კლინიკურ ბაზებს (5 კლინიკა) და ფარმაცევტულ საწარმოს, სადაც მიმდინარეობს სასწავლო, კლინიკური, კვლევითი და საწარმოო აქტივობები. ესენია:

1. თსსუ -ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა;
2. თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა;
3. თსსუ-ის აპ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა;
4. თსსუ -ის N1 სტომატოლოგიური კლინიკა;
5. თსსუ - ის N2 სტომატოლოგიური კლინიკა;
6. თსსუ -ის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტი;
7. თსსუ-ის ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი.

დაწესებულების საკუთრებაში მყოფი კლინიკური ბაზები სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პრაქტიკის მიმართულებით აქტივობების ეფექტურ შესრულებას.
ვიზიტის ფარგლებში რანდომული შერჩევით შეფასდა ორი კლინიკური ბაზა:

1. თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა;

2. თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა

პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებისას გადამოწმდა პირობები და გაირკვა, რომ ისინი აკმაყოფილებენ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა მოთხოვნას. ერთდროულად ერთ ობიექტზე შესაძლებელია მინიმუმ 25-30 სტუდენტის განთავსება.

ინტერვიუ შედგა შესაბამის პირთან (ინსტრუქტორთან), ვინც ხელმძღვანელობს პროფესიულ სტუდენტებს. ინტერვიუს მეშვეობით დადგინდა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული სტუდენტების დასწრების აღრიცხვისა და პრაქტიკის მონიტორინგის შესრულების წესი;
- ინსტრუქტორის ჩართულობის ხარისხი და მოცულობა და პროგრამის შესახებ ინფორმაციის ფლობა;
- ხდება თუ არა სტუდენტების შეფასება პრაქტიკის დღიურების საფუძველზე, შესაბამისი აქტივობების გათვალისწინებით.

| № | პროგრამის დასახელება | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის საგნობრივი პროგრამა | 150 |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და პროფესიული სტანდარტის შესაბამისობით;
2. საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
3. პროფესიუული სტუდენტის სტატუსის მოპოვების,შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარებისა და კრედიტების გაანგარიშების წესი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მარტის 24/6 დადგენილება;
4. აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N24/7 - 2013 წლის 26 აპრილი ,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება.
5. დაწესებულების ვებგვერდი;
6. კატალოგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. დაწესებულების საკუთრებაში არსებული კლინიკური ბაზების დათვალიერებით და პრაქტიკის ინსტრუქტორებთან გასაუბრებით;

8. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით;

9. სტუდენტებთან გასაუბრებით;

10. შეფასების უწყისებით;

შეფასება:

- გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ-გვერდზე www.tsmu.edu.ge განთავსებულია აკადემიური საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების კატალოგი, რომლის შემადგენელი ნაწილია პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა -პრაქტიკოსი ექთანი. კატალოგში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

- პროგრამის დასახელება;
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- პროგრამის მოცულობა-კრედიტების მითითებით;
- სწავლების ენა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის მიზნები;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- სწავლების მეთოდები;
- საგანმამანათლებლო პროგრამის ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების/დიციპლინების ჩამონათვალი (სასწავლო სემესტრების ხანგრძლივობისა და კრედიტების რაოდენობის მითითებით);
- სასწავლო დისციპლინების მოკლე აღწერა;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე დეპარტამენტები/მიმართულებები (ფაკულტეტებისა და სასწავლო ცენტრების მითითებით).

ვიზიტის ფარგლებში შეფასების საფუძველზე გამოვლინდა , რომ კატალოგი არ მოიცავს:

- ➢ ინფორმაციას დაწესებულების შესახებ,
- ➢ ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ
- ➢ შეფასების სისტემას.

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად დაწესებულებამ ვიზიტის დასრულების შემდგომ შეიტანა ცვლილება კატალოგში და ასახა ინფორმაცია : 1. სწავლის შედეგების შესახებ და 2. შეფასების სისტემის შესახებ. ასევე

ვებგვერდის მთავარ მენიუში, რუბრიკაში „ჩვენს შესახებ“ ( რომელიც ხილვადია ნებისმიერ კონტენტზე გადასვლისას) , დაწვრილებით არის მოცემული ინფორმაცია დაწესებულების შესახებ http://new.tsmu.edu/content/2/0/0/0/0/0 . რაც ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ , დასკვნის პროექტის საპასუხოდ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციითაც დასტურდება .

ამასთან ვებ-გვერდზე http://new.tsmu.edu/content/3/54/26/0/0/0 - განთავსებულია დოკუმენტი „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“, დამტკიცებული თსსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 17 სექტემბრის N24/1 დადგენილებით (შეტანილი ცვლილებებით), რომელის საფუძველზეც ხდება პროფესიული სტუდენტის შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018 წელი

რადგან კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სავიზიტო ბარათს, სასურველია, იგი დაიხვეწოს, შეივსოს მოთხოვნილი ინფორმაციით, ასევე სასწავლო დისციპლინების აღწერილობა უფრო დაკონკრეტდეს (მაგალითად საგანში: „კლინიკური უნარ-ჩვევები" ძალიან მოკლედაა მითითებული რომ სტუდენტმა უნდა შეისწავალოს (ალბათ უმჯობესია დაეუფლოს) კლინიკური უნარ-ჩვევების ტექნიკას, სასურველია დაკონკრეტდეს.გარდა სტანდარტით მოთხოვნილი მინიმალური ინფორმაციისა, ასევე კატალოგი შეიძლება მოიცავდეს სხვა ინფორმაციას, რისი მიწოდებაც დაწესებულებას სურს ფართო საზოგადოებისათვის. მათ შორის დაწესებულების მიერ მიწოდებული სხვა სერვისების, აქტივობების, მიღწევების შესახებ. ასევე ფოტოებს და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;
- ვებგვერდით http://www.tsmu.edu.ge/ .

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით და სილაბუსებით;
- პროფესიული სტანდარტით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების/შეჩერების/შეწყვეტის და მობილობის წესები მოწესრიგებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მარტის 24/6 დადგენილებით. ვიზიტის ფარგლებში გასაუბრებით დგინდება , რომ მობილობით მიღებული სტუდენტი არ დაფიქსირებულა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკოსი ექთნის მე-5-ე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა (საგნობრივი პროგრამა) მიმდინარეობს მილევად რეჟიმში. ასევე გასაუბრებით დგინდება, რომ პროგრამაზე მიღება არ განხორციელდება არც პროფესიული ტესტირების სახით და არც მობილობის წესით. უნივერსიტეტს „სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარებისა და კრედიტების გაანგარიშების წესით“ დადგენილი აქვს ზოგადი წესი, რაც მოიცავს პროფესიული ტესტირებისა და პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისთვის საჭირო პროცედურას. აღნიშნული წესით ასევე დადგენილია, რომ უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და სხვა სამართლებლივი აქტებით გათვალისწინებული წესები სრულად ვრცელდება პროფესიული პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალზე პროფესიული პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე პროფესიული განათლების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მობილობის პროცედურები , რომელიც უნივერსიტეტში ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, დადგენილ ვადებში. **უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე შიდა მობილობა** ვერ განხორციელდება სხვა პროფესიული პროგრამების არ არსებობის გამო.

თსსუ-ში დადგენილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები:

**კერძოდ, სტატუსის შეჩერების საფუძველია:** პირადი განცხადება; ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა; აკადემიური შვებულება, პირადი განცხადების საფუძველზე (უცხოეთში სწავლის გაგრძელების მიზნით, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით, მძიმე ავადმყოფობის გამო ან ოჯახის ავადმყოფ წევრებზე მეურვეობის მიზნით და სხვა საპატიო მიზეზის გამო); იმ ენის შესწავლის მიზნით, რომელზედაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა; პირის მიერ სემესტრის განმავლობაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვის 35%-ზე მეტის გაცდენა; სისხლის სამართლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე; კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა სტუდენტთა პირადი საქმეები და შესაბამისი პროცედურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

1.სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარებისა და კრედიტების გაანგარიშების წესი (საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მარტის 24/6 დადგენილება);

2. თსსუ- წესდება;

3. თსსუ -ს შინაგანაწესი;

4. „სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდამობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი";

5. სტუდენტების პირადი საქმეები.

შეფასება:

- *ვთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი. ვიზიტზე წარმოდგენილ იქნა მემორანდუმი (დანართი N1) საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეასთან".

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მობილობის პროცედურები , რომელიც უნივერსიტეტში ხორციელდება საერთო წესით. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე შიდა მობილობა ვერ განხორციელდება სხვა პროფესიული პროგრამების არ არსებობის გამო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

1. საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაციასთან" გაფორმებული მემორანდუმით (12 ივნისი, 2018 წელი);
2. პერსონალთან გასაუბრებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი 2018 წელი*

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული და ფუნქციური რგოლია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ იერარქიაში, რომლის სტრატეგია ორიენტირებულია საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების იმგვარ განვითარებაზე, რომ თსსუ-მა განამტკიცოს და განავითაროს სტუდენტების, პარტნიორების და საზოგადოების აღიარება და ნდობა როგორც საქართველოში, ასევე, ევროპასა და მსოფლიოში.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება *PDCA* (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე) ციკლს, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და კრიტერიუმები ღიაა და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართულია უნივერსიტეტის ყველა ის სტრუქტურული ერთეული, რომელსაც სხვადასხვა ხარისხის შეხება აქვს აკადემიურ და კვლევით პროცესთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის პროფესიულის , სილაბუსების, სამეცნიერო პუბლიკაციების და სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმები და პროცედურა. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები სრულად არის ჩართული შესაბამის ფაკულტეტზე სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომების (ანუ, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კვლევითი კომპონენტის) შეფასების კრიტერიუმების და ინდიკატორების შემუშავებაში. ყველა ახალი, ან განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება დადგენილი კრიტერიუმებით. აკადემიურ საბჭოზე პროგრამის განხილვის ვადები დამოკიდებულია ამ შეფასების შედეგებზე. თუ შეფასება უარყოფითია/არასაკმარისია, პროგრამა გადასამუშავებლად უბრუნდება პროგრამის ხელმძღვანელს და ეძლევა შესაბამისი რეკომენდაციები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ექპერტიზის პროცედურა კონფიდენციალურია, რაც ზრდის საექსპერტო შეფასების ობიექტურობის ხარისხს; გათვალისწინებულია, ასევე, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის საკითხი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საექსპერტო შეფასებაში რთავს შესაბამის დარგობრივ პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებას როგორც საუნივერსიტეტო, ასევე გარე რესურსის გამოყენებით. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს იმ მექანიზმების და რესურსების შემუშავებაზე, რომელიც უცხოელი კოლეგების ჩართვის შესაძლებლობას შექმნის *peer review*-რების პროცესში. დეკანატების და დეპარტამენტების მუშაობის სტუდენტების მხრიდან შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია კითხვარები და პროცედურა. ეს პროცესი მიმდინარეობს რეგულარულად; შეფასების შედეგები და მათ საფუძველზე სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, აკადემიურ საბჭოს, დეპარტამენტებს და საფუძვლად ედება კურიკულუმის და სასწავლო გეგმის განვითარებას, ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ცვლილებებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული და აკადემიური საზოგადოების მიერ გაზიარებული ზემოხსენებული კრიტერიუმები და პროცედურები საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მიმდინარე სასწავლო წელს უნივერსიტეტში დაიწყო პროგრამების შეფასების მიზნით კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ელექტრონული ფორმით. გასულ წლებში კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ტარდებოდა სატელეფონო ინტერვიუს საფუძველზე. გამოკითხვის ელექტრონულ ფორმატზე გადაყვანამ (კომპიუტერული პროგრამა - surveymonkey, ელ. მისამართების გამოყენების სისტემა) უფრო მასშტაბური, ვალიდური და სანდო გახადა გამოკითხვა და მისი შედეგები.

გამოკითხვის შედეგების ანალიზი საფუძვლად ედება სათანადო რეკომენდაციებს, რომლებიც თავისთავად საფუძველია პროგრამების მოდიფიცირებისა.

თსსუ-თვის მეტად მნიშვნელოვანია მოქმედ სტუდენტთა ჩართულობა პროგრამის ან მისი კომპონენტების შეფასებასა და განვითარებაში. ამ მიზნით, თსსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან ერთად, სისტემატურად ატარებს სტუდენტების გამოკითხვას. მათი შედეგების ანალიზი განიხილება თითოეულ დეპარტამენტში და საჭიროების შემთხვევაში, აისახება გეგმებში პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის.

პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პროცესში ჩართულნი არიან უნივერსიტეტის უცხოელი პარტნიორი უნივერსიტეტები, ორგანიზაციები და სპეციალისტები, რაც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობას იძლევა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამებში გარკვეული ცვლილებების შეტანის მიზეზი ხდება აგრეთვე სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და პროგრამის განსაზღვრულ ვადაში დასრულებისა და განთესვის მაჩვენებლების ანალიზი.

უნივერსიტეტი მუდმივად ატარებს სტუდენტთა სწავლის შედეგებისა და აკადემიური მდგომარეობის ანალიზს.

ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილ იქნა პრაქტიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის პროფესიული პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მდგომარეობის ანალიზი 2013 წლიდან, 2017–18 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით. პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების გაანალიზებისას საყურადღებოა საბაზო სამედიცინო დისციპლინებში მიღებული შედეგები, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება და დაბალია კლინიკურ დისციპლინებში მიღებული შედეგებისაგან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დოკუმენტში ჩამოთვლილი აქვს ყველა ის სავარაოდო მიზეზები, რომლებმაც ასეთი შედეგი გამოიწვია.

ამას გარდა, აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია აღნიშნული პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პრაქტიკოსი ექთნის სპეციალობა ძალზედ მოთხოვნადია სამედიცინო სერვისის დღევანდელ სისტემაში, მეტიც – დეფიციტურიც კი არის.

კვალიფიციურ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და 90%–ის ფარგლებში მერყეობს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროცედურები;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კითხვარები;
- გამოცდების შედეგების შეფასების მექანიზმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პრაქტიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის პროფესიული პროგრამის სტუდენტების აკადემიური მდგომარეობის ანალიზი (2013 –დან 2017–18 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით).

შეფასება:

*გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ*

*შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსები გამოიყენება სტუდენტთა სასწავლო მიზნებისათვის და შეესაბამება არსებულ სტუდენტთა რაოდენობას. თსსუ -ს საკუთრებაში ფლობს კლინიკურ ბაზებს (5 კლინიკა) და ფარმაცევტულ საწარმოს, სადაც მიმდინარეობს სასწავლო, კლინიკური, კვლევითი და საწარმოო აქტივობები.

თსსუ-ს კლინიკური ბაზები:

1. თსსუ -ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა (ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი 2015 წელი);

2. თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა(ფუნქციონირებს 2011 წლიდან);

3. თსსუ-ის აპ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა;

4. თსსუ -ის N1 სტომატოლოგიური კლინიკა;

5. თსსუ - ის N2 სტომატოლოგიური კლინიკა;

6. თსსუ -ის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტი;

7. თსსუ-ის ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი.

უნივერსიტეტის მფლობლობაში არის უძრავი ქონება სულ საქართველოს მაშტაბით 17 საკადასტრო კოდზე, შენობების საერთო ფართი 78766.07 კვ.მ ; შენობებში მოწყობილია ფოიე, სარეკრიაციო სივრცეები, თეორიული სწავლების აუდიტორიები, სივრცე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, შესაბამისი ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები, არქივი, საოპერაციოები, პალატები, სივრცეები დიაგნოსტიკისთვის, განახლებული საგამოცდო ცენტრი, სადაც ერთდროულად 212 სტუდენტს ელექტრონული პროგრამის საშუალებით შეუძლია ტესტური გამოცდის ჩაბარება ონლაინ რეჟიმში. ცენტრი სრულად არის ღჭურვილი: კომპიუტერული ტექნიკით, კონდიცირება - გათბობისა და სავენტილაციო სისტემით.

ვიზიტის ფარგლებში დათვალიერებით: სათანადო ინვენტარით ( დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დანართების საფუძველზე 6.2.2.1.2.) აღჭურვილი სასწავლო ფართი შეადგენს 29 341.07 კვ.მ-ს ( დანართი 6.2.2.1.2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დანართების საფუძველზე). საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საჭირო და გამოსაყენებელი მატერიალური და არამატერიალური რესურსები რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ დანართების სახით, ადგილზე დათვალიერებით დასტურდება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტის კლინიკები აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური სამედიცინო, მათ შორის დიაგნოსტიკური აპარატურით:კომპიუტერული ტომოგრაფები, მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფი, ანგიოგრაფი.

შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექსპლუატაციისათვის უსაფრთხოა, რაც დასტურდება ადგილზე 2 კლინიკის დათვალიერებით , უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის/დანართების შესწავლისა და დადარების საფუძველზე (6.2.2.1.5.) თსსუ-თან აფილირებულ და ხელშეკრულებით დაკავშირებულ კლინიკებში სასწავლო ფართი შეადგენს 73193,99კვ.მ ;

თსსუ-ს II სასწავლო კორპუსში (საერთო ფართი 5517,69 კვ.მ) ამჟამად მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო - სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პრაქტიკოსი ექთნის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის განკუთვნილი სასწავლო ფართი შეადგენს 24547.37კვმ, მათ შორის თსსუ-ის კუთვნილებაში არსებულია - 21084,87 კვ.მ, ხოლო თსსუ-თან აფილირებულ და ხელშეკრულებით დაკავშირებულ კლინიკებში - 3462,5 კვ.მ

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| | სულ ფართი | 78766.07კვ.მ |
| 1 | ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას N33, III სასწავლო კორპუსი | 37816.00 კვ.მ. |
| 2 | ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას N33 , I სასწავლო კორპუსი | |
| 3 | ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას N33 , II სასწავლო კორპუსი | |
| 4 | ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას N33 , IV სასწავლო კორპუსი | |
| 5 | ქ.თბილისი, ლუბლიანას ქ. N 21, ჟვანიას სახელობის კლინიკა | 3186.00 კვ.მ |
| 6 | ქ.თბილისი, გუდამაყრის ქუჩა N4 | 33886.00 კვ.მ |
| 7 | ქ/თბილისი , ვაჟაფშაველას გამზირი N33, | 3315 კვ.მ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | ადმინისტრაციული კორპუსი | |
|---|---|---|

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- ■ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან - მიწის , უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.10.15.007.101.;
- ■ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან - მიწის , უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.10.15.007.103.;
- ■ დათვალიერებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი 2018 წელი*

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საჭირო და გამოსაყენებელი მატერიალური და არამატერიალური რესურსები რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ დანართების სახით ადგილზე დათვალიერებით დასტურდება.

ვიზიტის დროს განხორციელდა შეფასება სამი სასწავლო კორპუსის : N1 , N2, N3., და ახალი კორპუსის N4. რაც შეეხება N2 სასწავლო კორპუსს - მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში სასწავლო ფართი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის შეადგენს 24547.37კვმ, მათ შორის თსსუ-ის კუთვნილებაში არსებულია - 21084,87 კვ.მ, ხოლო თსსუ-თან აფილირებულ და ხელშეკრულებით დაკავშირებულ კლინიკებში - 3462,5 კვ.მ; თითოეული სივრცე მოიცავს სასწავლო აუდიტორიებს, ლაბორატორიებს და კომპიუტერებითა და საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილ კლასებს. N1 სასწავლო კორპუსში განლაგებულია ბიბლიოთეკა და კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი.

მატერიალურ- ტექნიკური რესურსების ფლობა დასტურდება - თსსუ -ს კანცლერის 2017 წლის 22 სექტემბრის # 218./02 ბრძანების ინვენტარიზაციის შესახებ, საფუძველზე ჩატარებული ინვენტარიზაციის დოკუმენტით (2017 წლის 01.10 -ის მდგომარეობით)

N4 სასწავლო კორპუსში ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა აუდიტორიები, რომლებიც გამოიყენება აღნიშნული პროფესიული პროგრამის განსახორციელებლად. ესენია: N204 ;N206; N207; N215 ; N107 აუდიტორიები :

N207 აუდიტორია : პირველი სართული, ჰისტო-მორფოლოგიური ლაბორატორია, აღჭურვილი უახლესი ინოვაციური აპარატურით, უზრუნველყოფილია ერთდროულად 10 სტუდენტის პრაქტიკული აქტივობის განხორციელებისათვის; კომპიუტერი -1ც; მაგიდა -4 ც, სკამი -10ც;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

N206 აუდიტორია: სასწავლო მაგიდა - 3 ც ; პედაგოგის მაგიდა -1ც, სკამი 15 სტუდენტისათვის და 1 მასწავლებლის; 1 მიკროსკოპი პრაქტიკული აქტივობებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ აუდიტორიაში მიკროსკოპთან პრაქტიკული აქტივობების ჩატარება შესაძლებელია ერთდროულად 5 სტუდენტისათვის.

N 204 აუდიტორია სალექციო აუდიტორიაა, რომელშიც განთავსებულია : სტუდენტის მაგიდა -3 ც (3 ადგილიანი), სკამი -12 ც, მასწავლებლის მაგიდა - 1ც, სკამი მასწავლებლის -1ც, კომპიუტერი -1 ც ;

N 215 აუდიტორია; სასწავლო მაგიდა -3 ც (3 ადგილიანი) და 1ც მასწავლებლის, 10 სკამი სტუდენტებისათვის და 1 მასწავლებლის, კომპიუტერი -1ც;

N107 აუდიტორია: სალექციო დარბაზი - სასწავლო მაგიდა 66 სტუდენტზე გათვლილი , სკამი 70 ც , პედაგოგის 2 მაგიდა, 1ც კომპიუტერი, 1ც ეკრანი, თვალსაჩინოებები სპეციფიკის მიხედვით.

სასწავლო კორპუსი N1: ფიზიოთერაპიის დეპარტამენტი - აუდიტორიები N301; N302; N303; N305; N306; თითოეული აუდიტორია აღჭურვილია: 4 (3 სტუდენტზე გათვლილი) სასწავლო მაგიდით, 12 სკამით სტუდენტებისათვის, 1 პედაგოგის მაგიდით, 1ც კომპიუტერითა და ეკრანით, თვალსაჩოინოებებით. სართულზე არის სველი წერტილები, გამიჯნული სტუდენტებისა და პერსონალისათვის, ასევე ადაპტირებული შშმპ პირებისათვის. ცეცხლმაქრი და წყლის ჭავლის სისტემა სართულზე სამ ლოკალურ არეში, გამართული , ვადა 2018 წლის აგვისტოს თვის ბოლომდე. ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა 3 ლოკალურ არეში.

პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა და კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი;

**კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი მოიცავს 18 ლაბორატორიულ კლასს.** თითოეული პროგრამის მიხედვით ცენტრის ხელმძღვანელის მიერ უზრუნველყოფილია სილაბუსებისა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ინსტრუქტაჟების ვიზუალური დოკუმენტაცია, რომელიც თითოეული კლასისათვის არის ხელმისაწვდომი. ამასთან, ყოველი კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლის ეტაპისათვის შემუშავებულია ჩეკლისტები და თითოეულ აუდიტორიაში (სპეციფიკის მიხედვით)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არის განლაგებული. უნარ-ჩვევების ცენტრში ყველა აუდიტორია N1-დან N18 -ის ჩათვლით უზრუნველყოფილია სრულად სიმულატორებით (უნივერსალური მოვლისა და მართვის პრინციპების გათვალისწინებით). ასევე თითოეული კლასი აღჭურვილია: სასწავლო მაგიდებით და სკამებით მინიმუმ 10 სტუდენტზე გათვლით, სკამებით ასევე 10 სტუდენტზე, მასწავლებლის მაგიდითა და ეკრანით. უზრუნველყოფილია ვიდეო და სალექციო ფორმატში ვიზუალიზაციის ტექნიკური საშუალებები (კლინიკური უნარ-ჩვევების ჩანაწერები დისკებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია თითოეული პედაგოგისათვის).

ცენტრში დანერგილია და უკვე მიმდინარეობს ოსკის გამოცდები და შეფასების (პირდაპირი დაკვირვების) პროცესის კონტროლი ხმის კომპიუტერული სისტემით ხორციელდება.

უნარჩვევების ცენტრის აღჭურვა და პრაქტიკის განმახორციელებელი მასწავლებლების საგანმანათლებლო შესაძლებლობები სრულად უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის კლინიკასთან მიახლოვებული ადაპტირებული გარემოს შექმნას, რაც პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის მიხედვით სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის გარანტიაა.

სასწავლო კორპუსი N3 : აუდიტორიები ჰისტოლოგიის დეპარტამენტი: N1; N2 ; N9 ;N10 აუდიტორია.

თითოეული აუდიტორია უზრუნველყოფილია: სასწავლო მაგიდებით- 12 სტუდენტზე, სკამებით 12 სტუდენტზე, ფლიპჩარტებით და თვალსაჩინოებებით, მასწავლებლის: 1 მაგიდით, 1 სკამით, 1 კომპიუტერით, 1 ეკრანით. N2 აუდიტორია არის ლაბორატორია და განთავსებულია მიკროსკოპები , შესაძლებელია ერთდროულად 8-10 სტუდენტის ჩართვა, კომპიუტერებითა და საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორია 8 სტუდენტზე : 8 კომპიუტერით და 10 სტუდენტზე მაგიდებითა და სკამებით, ერთი მასწავლებლის მაგიდა, 11 სკამი- B გარემო ;

უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტორიების გადანაწილება ხდება დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ. თითოეული პროგრამის სასწავლო ცხრილი გამოკრულია თითოეულ დეპარტამენტში და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი 2018 წელი*

ხელმისაწვდომია, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისათვის. სასწავლო ცხრილი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- თსსუ -ს კანცლერის 2017 წლის 22 სექტემბრის # 218./02 ბრძანებით ინვენტარიზაციის შესახებ;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტით (2017 წლის 01.10 -ის მდგომარეობით);
- სასწავლო ცხრილებით;
- დათვალიერებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები, კერძოდ, გათბობის ცენტრალური სისტემა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას სველი წერტილები განთავსებული აქვს, შენობის ყველა სართულზე სტანდარტის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

1. ვიზუალური დათვალიერებით;
2. გადახდის ქვითრებით;
3. ხელშეკრულებებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ორიენტირებულია უნივერსიტეტის პროფესურის, მკვლევარების, ყველა საფეხურის სტუდენტებისა და რეზიდენტების სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ინფორმაციულ ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაზე.

ბიბლიოთეკის ფუნქციები განსაზღვრულია ,,სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებით", დამტკიცებული თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2012 წლის 25 ივლისის #23/6 დადგენილებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკა მოიცავს შემდეგ სივრცეებს: წიგნსაცავი - 1 მთავარი და 2 დამხმარე, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის მუშაობის სივრცეს, სამკითხველო დარბაზებს, ჯგუფური მუშაობის სივრცეს შეხვედრებისათვის, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცეს. სამკითხველო და კომპიუტერული დარბაზები აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარით – მაგიდებით, სკამებით, კომპიუტერებით, კონდიციონერებით და სხვა.

დადგენილია და თვალსაჩინოდ განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები ქართულ და ინგლისურ ენებზე, ბიბლიოთეკა სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კვირაში 6 დღე, 60 საათი.

ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი (დიპლომისშემდგომი განათლების განყოფილებასთან ერთად) შეადგენს 330058 ეგზემპლარს: სახელმძღვანელოები - 100018, მონოგრაფიები – 71600, ელექტრონული წიგნები – 432, ავტორეფერატები - 66307, დისერტაციები – 1533. უცხოურენოვანი სახელმძღვანელო შეადგენს - 8928, ჟურნალები – 10242. ისინი აღრიცხულია საინვენტარო ჟურნალებსა და ელექტრონულ კატალოგში. მათი შევსება მუდმივად მიმდინარეობს.
ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.
ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია, განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.
ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ბეჭდური კატალოგი. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ: ანბანური, საგნობრივი, სისტემატური დისერტაციებისა და ავტორეფერატების კატალოგებით.
არსებობს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგიც. ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება ავტომატიზებული საბიბლიოთეკო ციფრული სისტემის Koha-ს გამოყენება ელექტრონული კატალოგის სამართავად. მისი გამოყენებით მუდმივად ხდება ელექტრონული კატალოგის შევსება.

უნივერსიტეტს შეძენილი აქვს რა ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (WHO) პროგრამის Research4life ელექტრონული ბაზების (HINARI, AGORA, OARE და ARDI) მოხმარების ლიცენზია, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ამ ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა აქვთ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა ამისა:

დაფინანსდა ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (WHO) პროგრამის Research4life ელექტრონული ბაზების (HINARI, AGORA, OARE და ARDI), მოხმარების ლიცენზირებული უფლების განახლება მომდევნო ერთი წლის ვადით.

რუსთაველის ფონდის დაფინანსებით ერთი წლით გახანგრძლივდა თავისუფალი წვდომის უფლება Elsevier-ის ელექტრონულ ბაზებზე: SienceDirect-ზე და Scopus-ზე.

თსსუ „Clarivate Analytics"-ის პროდუქტისა და მომსახურეობით სარგებლობისთვის გაწევრიანებულია კონსორციუმში და იხდის შესაბამის საფასურს, რათა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს ჰქონდეთ უფასო წვდომა ბიბლიოგრაფიულ საძიებო სისტემა Web of Science-ზე, სადაც მოცემულია მსოფლიო მეცნიერების ციტირების ინდექსები 1990 წლიდან დღემდე.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს სამედიცინო ელექტრონული ბაზა Medline, სადაც თავმოყრილია სამეცნიერო პუბლიკაციები მედიცინის დარგში 1950 წლიდან დღემდე.

აშშ მთავრობის დაფინანსებით თსსუ-სა და BMJ-სთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, კლინიკის ექიმებს, რეზიდენტებსა და დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს საშუალება აქვთ 2019 წლამდე უფასოდ მიიღონ წვდომა BMJ-ის ორ რესურსზე BMJ Best Practice და BMJ Learning და გამოაქვეყნონ პუბლიკაციები.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაინერგა ელექტრონული არქივი DSpace, სადაც საავტორო უფლებების სრული დაცვით მიმდინარეობს სილაბუსებში მითითებული და ბიბლიოთეკაში დაცული ელექტრონული წიგნების განთავსება. Dspace ელექტრონულად მიბმულია ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემა Koha-სთან.

შ. რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის გრანტით უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა საგამომცემლო კორპორაცია Elsevier-ის ორ საძიებო ბაზაზე:

1. ScienceDirect - აკადემიური ჟურნალებისა და ელექტრონული წიგნების სრულტექსტოვანი ბაზა;
2. Scopus - რეფერირებული სამეცნიერო ლიტერატურის უმსხვილესი მონაცემთა ბაზა. მეცნიერული კვლევის მიმოხილვის, სტატისტიკის, ციტირების და h-ინდექსი და სხვა ღირებული მონაცემები მკვლევარებისათვის და მკვლევარების შესახებ.

ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალისთვის ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას (მაგ. საორიენტაციო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეხვედრები, კონსულტაციები და ა.შ.), ეხმარება ლიტერატურისა და სხვა რესურსების მოძიებაში, მათ შორის გარე წყაროებიდან (სხვა ბიბლიოთეკები ან შესყიდვა), სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარებას.

ბიბლიოთეკის მუშაობის შეფასების მიზნით ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები 5-ქულიანი სისტემით: სრულებით არ ვეთანხმები=1, არ ვეთანხმები=2, ნაწილობრივ ვეთანხმები=3, ვეთანხმები=4, სრულებით ვეთანხმები=5.

სტუდენტებმა შეაფასეს:

ბიბლიოთეკაში სამუშაო გარემო და ატმოსფერო;

საჭირო სახელმძღვანელოებზე ხელმისაწვდომობა;

კომუნიკაცია ბიბლიოთეკის თანამშრომელთან;

ბიბლიოთეკის ტექნიკური აღჭურვილობა;

სამკითხველო დარბაზში დასაჯდომი ადგილების რაოდენობა;

სანიტარული ნორმები;

მშვიდია თუ არა სამუშაო გარემო სამკითხველო დარბაზში;

სადისკუსიო დარბაზები აკმაყოფილებს თუ არა ჯგუფური მუშაობის მსურველებს;

ბიბლიოთეკის სამუშაო გრაფიკი;

ელექტრონული წიგნების რაოდენობა და ხარისხი.

რაც შეეხება ზოგადად ბიბლიოთეკის მუშაობას, გამოკითხვის იგივე მეთოდით შეფასდა შემდეგნაირად: 1-15,4%; 2-23,1%; 3-50,05%; 4-3,85%; 5-7,7%.

როგორც სტუდენტთა გამოკითხვებიდან ჩანს, სტუდენტთა ნახევარი - 50,05% „ნაწილობრივ ეთანხმება" ბიბლიოთეკის მუშაობას, რაც საფუძველია იმისა, რომ უნივერსიტეტმა აქტიურად იმუშაოს იმ პრობლემების გამოსასწორებლად, რაზეც მიუთითებენ სტუდენტები. ესენია: სამკითხველო დარბაზში დასაჯდომი ადგილების რაოდენობის გაზრდა; ბიბლიოთეკის ტექნიკური აღჭურვილობის გაზრდა; საჭირო სახელმძღვანელოების რაოდენობის გაზრდა; ელექტრონული წიგნების რაოდენობა და ხარისხი.

ყველა ეს საკითხი სწრაფი რეაგირებისთვის გათვალისწინებულია ბიბლიოთეკის განვითარების გეგმაში და უკვე 2017-2018 სასწავლო წლისთვის უნივერსიტეტმა ბიბლიოთეკისთვის შეიძინა 77 დასახელების 295 ინგლისურენოვანი, 25 დასახელების 115 რუსულენოვანი და 48 დასახელების 114 ქართულენოვანი სამედიცინო ლიტერატურა, გამოწერილია 28 დასახელების სამეცნიერო ჟურნალი. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა წიგნადი ფონდის ინვენტარიზაცია. აღნიშნული ფონდიდან დასაწყობებული და ჩამოსაწერად გამზადებულია 15086 ერთეული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მიზნით დაგეგმილია:

- წიგნადი ფონდის აღრიცხვისა და ცირკულაციის უახლესი მეთოდების დანერგვა საბიბლიოთეკო ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (Koha), რაც უზრუნველყოფს ნაბეჭდი წიგნებისა და ელექტრონული მასალის მოხმარების სტატისტიკური აღრიცხვიანობის გაუმჯობესებას;
- კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის საძიებო სისტემების ლიცენზიების შეძენა, რომლებიც თანხვედრაში იქნება უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებთან და უპასუხებს თანამედროვე ტექნოლოგიურ მოთხოვნებს;
- სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სახელმძღვანელოებს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არა მარტო ნაბეჭდი წიგნის სახით, არამედ ელექტრონულ ვერსიებზე წვდომის საშუალებით, უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელიდან საავტორო უფლებების კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების დაცვით.
- კამერებით ბიბლიოთეკის სრულად აღჭურვა და სამუშაო ადგილების გაზრდა.

სასწავლო წლის ბოლოს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების მომწოდებლებისგან უნივერსიტეტი იღებს მოხმარების წლიურ სტატისტიკას. 2017 წლის განმავლობაში დაფიქსირებულია მოხმარების რაოდენობა სულ 1020 Hinari-ის და 3538 Elsevier-ის ბაზებში.

იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), „პრაქტიკოსი ექთნის მე -5 საფეხურის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურას და რამდენად ხელმისაწვდომია ეს ლიტერატურა სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შერჩევითი პრინციპით გადამოწმებულ იქნა რამოდენიმე სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის არსებობა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ესენია:

1. ინფექციური დაავადებები ე. ბოცვაძე, 2000 (სასწავლო კურსი „ინფექციური პაციენტის მოვლა") – 3 ცალი;
2. კლინიკური გერიატრია. გ. სიმონია, ი.ანდრონიკაშვილი 2001წ. და 2014 წ. გამოცემები (სასწავლო კურსი „გერიატრიულიპაციენტის მოვლა" ) - 13 ცალი;
3. ფსიქიატრიის მოკლე კურსი, გ. ნანეიშვილი, 1998 წ. (სასწავლო კურსი „ფსიქიური აშლილობის მქონე პაციენტის მოვლა") – 4 ცალი;
4. ონკოლოგია. რ. ღვამიჩავა, მ. შავდია, 2010 წ. (სასწავლო კურსი „ონკოლოგიური პაციენტის მოვლა, ჰოსპისი") – 7 ცალი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. კრიტიკული მედიცინა. ზ.ხელაძე, 2007 წ. (სასწავლო კურსი „კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მოვლა“) – 1 ცალი;
6. შინაგანი სნეულებები და მედდის მოვალეობა. ვ. გვანცელაძე. გ. კალანდარიშვილი, 2010 (სასწავლო კურსი „თერაპიული პაციენტის მოვლა“) – 1 ცალი;
7. ბავშვთა დაავადებების პროპედევტიკა. ნ. ხერხეულიძე, 2004 (სასწავლო კურსი „პედიატრიული პაციენტის მოვლა“) – 5ცალი;

როგორც საბიბლიოთეკო ფონდის გადამოწმებით გაირკვა, „პროფესიული ექთნის მე-5 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის“ სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა უნივერსიტეტში არსებობს, თუმცა მოქმედი სხვა დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურისგან გამიჯნული არ არის, ვინაიდან აღნიშნული სახელმძღვანელოებით სწავლება გათვალისწინებულია ყველა საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე, ამ საფეხურით გათვალისწინებული თემატიკისა და მოცულობის ფარგლებში.

სამკითხველო დარბაზების დათვალიერების შედეგად და ბიბლიოთეკის დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ნოუთბუქების ნაწილი პროფესორ-მასწავლებელთა მიერ ბიბლიოთეკიდან სამუშაოდ იქნა გატანილი ხოლო ნაწილი, შესაკეთებლად და საჭირო კომპიუტერული პროგრამების ჩასატვირთად ( უნდა აღვნიშნოთ, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი უკვე დასრულებული იყო, მიმდინარეობდა დასკვნითი გამოცდები და შესაბამისად, ტარდებოდა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოსაწესრიგებელი სამუშაოები).

როგორც სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებიდან ჩანს, უნივერსიტეტი მუდმივად გეგმავს ლიტერატურის განახლება-შეძენას.

სტრატეგიული გეგმის პირველი პრიორიტეტული მიმართულების „ინსტიტუციური განვითარება“ 1.5. პუნქტში ვკითხულობთ, „უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია ბიბლიოთეკის რესურსების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, რაც გულისხმობს:
ბიბლიოთეკის რესურსების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას; ორიგინალური ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნას და აღიარებული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნას“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- საბუღალტრო დოკუმენტაციით;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებით, ინსტრუქციებით, ჩატარებული შეხვედრების, კონსულტაციებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი მასალებით;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების შესახებ;
- ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკით;
- ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმებით;
- უნივერსიტეტის სრული წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის მონაცემებით;
- ბიბლიოთეკის ვებ-გვერდით: http://www.tsmu.edu/lib;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

*გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ*

*შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თსსუ-ში ინფორმაციული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილი სამსახურის მართვის პოლიტიკა ხორციელდება რექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამსახურის ზოგადი დებულების და თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად, ექვემდებარება რექტორის აპარატს. თსსუ საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახურის საშუალებით ხორციელდება ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, ვებ-გვერდის დიზაინისა და მისი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და სხვ;

უნივერსიტეტში მოქმედი ყველა პერსონალური კომპიუტერი (90%-450 მეგაჰერცზე მეტი სიხშირის) გაერთიანებულია ქსელში, რომელიც ჩართულია ინტერნეტში ოპტიკური ხაზით (პროვაიდერი - საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია - „გრენა") უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთ არსებული დეპარტამენტები დაკავშირებულია ინტერნეტთან ოპტიკური ხაზებით და DSL ტექნოლოგიით.

უნივერსიტეტში კომპიუტერების შეძენის დოკუმენტებით და ინვენტარიზაციის დოკუმენტით დასტურდება, რომ 2016-20117 წლებში უნივერსიტეტს ჰქონდა 257 კომპიუტერი, 80 ლეპტოპი, 134 პრინტერი და მულტიფუნქციური სისტემა.

დღეისათვის აქვს: 404 ცალი ლეოტოპი, 481 ცალი პრინტერი და მულტიფუნქციური სისტემა, 1237 ცალი კომპიუტერი. სტუდენტებისათვის გარდა დეპარტამენტებში არსებული კომპიუტერებისა, ბიბლიოთეკაში გამოყოფილია ინტერნეტ ქსელში ჩართული 85 კომპიუტერი. პროფესიული სტუდენტებისათვის დეპარტამენტების შესაბამისად ადგილზე დათვალიერებით ცალკე გამიჯნული არ არის კომპიუტერული კლასები და აუდიტორიები, სტუდენტების გადანაწილება ხდება სასწავლო პროგრამის გეგმის მიხედვით შემუშავებული საგნების მიხედვით სასწავლო ცხრილებით- დეპარტამენტების შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ საინფორმაციო საშუალებები სრულად უზრუნველყოფს ლექტორ-მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა მიერ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- შესაბამისი რესურსის ფლობის დოკუმენტაცით.

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

უნივერსიტეტში დოკუმენტაციის აღრიცხვაზე, მოძრაობასა და შენახვაზე პასუხისმგებელია საქმის წარმოების სამსახური. საქმის წარმოების სამსახურში შესული ყველა დოკუმენტი აღირიცხება ელექტრონულად. აღრიცხული დოკუმენტი განსახილველად წარედგინება რექტორს ან კანცლერს, მათი კომპეტენციის გათვალისწინებით და რეზოლუციების შესაბამისად გადაეცემა შემსრულებელს. რეზოლუციის ტექსტი, შემსრულებლის ვინაობა და დოკუმენტის მოძრაობა ფიქსირდება ელექტრონულად. თსსუ გამოსცემს 5 ტიპის ბრძანებას #-01 ბრძანებები უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ;

ბრძანება#-02 ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) ბრძანებები;

ბრძანება#-03 ბრძანებები სტუდენტების შესახებ;

ბრძანება #- 04 ბრძანებები თანამშრომელთა მიღება- განთავისუფლების შესახებ;

ბრძანება #-05 ბრძანებები თანამშრომელთა და სტუდენტთა მივლინება-შვებულების შესახებ.

ბრძანებების პროექტებს ამზადებენ სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტი 2017 წლის ივნისის თვიდან ჩაერთო ელექტრონული დოკუმენტაციის ბრუნვის პროგრამაში (EFLOW). ბაზის შეფასების მიზნით გადამოწმდა ბრძანებების რეგისტრაციის რამოდენიმე ვერსია და დადასტურდა თანხვედრა რეგისტრაციისა და საქმის წარმოების მარეგულირებელ დოკუმენტთან.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად მიმდინარეობს საქმის წარმოება, თუმცა აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ გამოცემული ოქმების და სტუდენტთა ხელსეკრულებების რეგისტრაცია არ მიმდინარეობს, ხდება მხოლოდ თარიღების მიხედვით აკინძვა და შენახვა. სასურველია სამომავლოდ დარეგისტრირდეს აკადემიური საბჭოს ოქმები და სტუდენტთა ხელშეკრულებები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- EFLOW ბაზით;
- სარეგისტრაციო ჟურნალებით წლების შესაბამისად: ელექტრონულ წარმოებამდე 2013 წლის, 2014 წლის, 2015 წლის და 2016 წლის;
- გასაუბრებით საქმის წარმოების სამსახურის ხელმძღვანელთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება , რისთვისაც ვიზიტის ფარგლებში დათვალიერებით დადგინდა:

შენობა- ნაგებობები აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით და სპეც. საშუალებებით, მათ შორის - ხანძარსაწინააღმდეგო კარადებით, რომლებიც დანომრილია და აღჭურვილია წყლის გიდრანტებით, წყლის სახანძრო მილებით და ცეცხლმაქრებით (ყოველ სართულზე 3 ლოკალურ არეში), მოწყობილია საევაკუაციო გასასვლელები და გამოკრულია საევაკუაციო გეგმები სართულზე 3 ლოკალურ არეში. ვარგისიანობა და ვადები დაცულია - მითითებული ვადა არის 08.2018 წელი.

თსსუ-ს წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ/თბილისი სამმართველოს N1 განყოფილების 35 თანამშრომელი. მათვე ევალებათ დანაშაულის აღკვეთა (საგანგაშო სიგნალიზაციის „ღილაკის" მეშვეობით) ცენტრალიზებული დაცვის პულტზე მიღებული განგაშზე სათანადო რეაგირებით.

უნივერსიტეტის შიდა და გარე პერიმეტრი მთლიანად ვიდეოკონტროლზეა და მიმდინარეობს გაუმჯობესება ( შესყიდვის დოკუმენტი, სატენდერო ამონაწერი) ვიდეო კონტროლის სისტემის გაფართოვების მიმართულებით.

უნივერსიტეტში გამოყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი, ჰყავს პასუხისმგებელი ექიმი. ოთახი ღჭურვილია საჭირო რესურსებით, გადამოწმებით დადგინდა მედიკამენტების ვადა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა სამედიცინო ოთახისა, ადმინისტრაციულ შენობაში არის ჩანთა ყველა საჭირო მედიკამენტითა და აღჭურვილობით, გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით. მედიკამენტების გადამოწმებას და მარაგების უზრუნველყოფას ახდენს პასუხიმგებელი ექიმი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- თსსუ-ში სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ დასკვნით;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმით;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმით;
- წესრიგის დაცვის მექანიზმით;
- შენობებისა და მიმდებარე ტერიტორიების ვიდეოკონტროლის სისტემის სრულად აღჭურვის გეგმით;
- ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის ფლობის დოკუმენტით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

უნივერსიტეტს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნების შესაბამისად: ლიფტები, პანდუსები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სველი წერტილები (ტუალეტი), ასევე ავტო სადგომი, საიდანაც შეუფერხებლად არის შესაძლებელი შენობამდე მიღწევა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

•

შეფასება:

○ *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალის სია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, შრომის ხელშეკრულებების ნიმუშები და სხვა). ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია პროგრამების აღწერილობა (კატალოგი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- ვებგვერდის დათვალიერებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

უნივერსიტეტის მისიის, ღირებულებების, სამედიცინო განათლების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების, SWOT ანალიზის, ექსპერტთა განმავითარებელი შეფასების ანგარიშის, კონსულტანტების რეკომენდაციებისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე განისაზღვა სტრატეგიული განვითარების 7 -წლიანი და 3 წლიანი სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილია სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები 2018-2024 წლისათვის, რაც მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში განსაზღვრავს უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებას. სტრატეგიული განვითარების გეგმაში 6 ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებაა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.ინსტიტუციური განვითარება; 2. სწავლებისა და სწავლის ხარისხის განვითარება; 3. კვლევის განვითარება; 4. სტუდენტების სერვისების განვითარება; 5. უნივერსიტეტის რეიტინგის გაუმჯობესება; 6. საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა.

**1.ინსტიტუციური განვითარება** წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უმთავრეს სტრატეგიას, წინაპირობას, რომლის გარეშეც შეუძლებელია მისიის და დანარჩენი სტრატეგიული მიზნების განხორციელება. ეს ცნება მოიცავს როგორც უნივერსიტეტის მართვას და მისი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას, ასევე ადამიანური და მატერიალური რესურსების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას და ინტერნაციონალიზაციის თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელებას. **ინსტიტუციური განვითარება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:**

1. მართვის ოპტიმიზაცია; 2. ეფექტური ფინანსური მართვის სისტემის ჩამოყალიბება; 3. ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება ;4. მატერიალური რესურსების განვითარება; 5. ბიბლიოთეკის რესურსების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება ; 6. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება; 7. მართვის ეფექტურობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა.

**2. სწავლებისა და სწავლის ხარისხის განვითარება** და მაღალი ხარისხის სწავლებისა და სწავლის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულებაა. უნივერსიტეტი ახორციელებს ყველა საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას და პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლებიც ხარისხიან სწავლებას სთავაზობს როგორც საქართველოს, ასევე უცხოელ მოქალაქეებს. მომავალი შვიდი წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამას, რადგანაც 2023 წლისთვის ის უნდა იყოს საერთაშორისოდ აკრედიტებული. ამასთან, ეს პროგრამა სრულ შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი მედიცინის ახალ დარგობრივ

მახასიათებელთან, რომელიც 2019 წლიდან შედის ძალაში. რაც შეეხება უნივერსიტეტის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, უნივერსიტეტი მას განახორციელებს მილევად რეჟიმში, რათა არსებულმა სტუდენტებმა დაამთავრონ პროგრამა. უნივერსიტეტის საქმიანობა მომავალი შვიდი წლის განმავლობაში პროფესიულ პროგრამასთან მიმართებით შემოიფარგლება არსებული პროგრამის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. სტრატეგიული გეგმის მეორე პრიორიტეტულ მიმართულებაში სწავლებისა და სწავლის ხარისხის შემდგომი სრულყოფისთვის დასახულ მიზნებსა და ამოცანებს შორის გათვალისწინებულია პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული პროგრამის მოდერნიზაციაც.

პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის მესამეა **კვლევის განვითარება.**

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელება განუყოფელია სამეცნიერო კვლევის განვითარებისგან. კვლევითი საქმიანობა ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და სტუდენტები ადრეული ეტაპიდან იწყებენ სამეცნიერო უნარ-ჩვევების დაუფლებას. უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალს აძლიერებს მის მფლობელობაში არსებული ორი კვლევითი ინსტიტუტის კვლევითი საქმიანობა. შემდეგი 7 წლის განმანვლობაში კვლევის განვითარებისთვის დასახულია შედეგი მიზნები და ამოცანები: მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო პროექტების ბაზის შექმნა; საუნივერსიტეტო კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა; ინტერდისციპლინური, გამოყენებითი და ინოვაციური კვლევითი პროექტების შემუშავება; პუბლიკაციების რადენობის და ხარისხის გაზრდა; ახალგაზრდა მეცნიერების ინტეგრაცია სამეცნიერო მუშაობაში; სამეცნიერო კვლევაში პლაგიარიზმის აღმოფხვრა და სამეცნიერო კვლევების მდგრადობის უზრუნველყოფა.

შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებაა **სტუდენტების სერვისების განვითარება** . სტუდენტების სერვისების შემდგომი განვითარებისთვის დასახულია შემდეგი მიზნები და ამოცანები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლისა და სამეცნიერო კვლევის სფეროებში სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებების განვითარება; სტუდენტების სამომავლო კარიერული ზრდის მხარდაჭერა; სტუდენტების საერთაშორისო აქტივობების და ინიციატივების ხელშეწყობა; სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება; . სტუდენტების სპორტულ, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება.

შემდეგია **უნივერსიტეტის რეიტინგის გაუმჯობესება.** სამედიცინო განათლების მზარდი გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა - უნივერსიტეტის და მისი კურსამთავრებულთა კვალიფიკაციების აღიარება საერთაშორისო დონეზე, რაც განაპირობებს უნივერსიტეტის კიდევ უფრო მაღალ რეიტინგს და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას. ამ სტრატეგიის განსახორციელებლად დასახულია შემდეგი მიზნები და ამოცანები: ქვეყანაში და რეგიონში უნივერსიტეტის რეიტინგის ამაღლება; უნივერსიტეტის საერთაშორისო რეიტინგის ამაღლება.

და ბოლოს, **საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა** . უნივერსიტეტს გააჩნია საზოგადოებასთან ურთიერთობის მრავალწლიანი ტრადიცია, რომლის შემდგომი განვითარებისთვის დასახულია შემდეგი მიზნები და ამოცანები: უნივერსიტეტში შექმნილი ცოდნის საზოგადოებისთვის გაზიარება და სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის განხორციელება.

უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმაში 2018-2020 წლებისთვის, სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული ექვსივე პრიორიტეტული მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები გაწერილია დეტალურად, მითითებულია სტრატეგიული მიზნები; ამოცანები; აქტივობები; პასუხიმგებელი პირები/ სტრუქტურები; დაფინანსება და დაფინანსების წყარო/ები; შესრულების ვადები და შეფასების ინდიკატორები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაცშეეხება პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული პროგრამის მოდერნიზაცია/სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, სამოქმედო გეგმის მიხედვით იგეგმება 2019-2021 წლებისთვის და მასზე პასუხისმგებელი სტრუქტურები არიან ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; კურიკულუმის კომიტეტი და პროგრამის კოორდინატორი.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, უნივერსიტეტში მოქმედი ყველა პროგრამის მოდერნიზაციისა და შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლების მაქსიმალური ჩართულობა; სწავლების და შეფასების ახალი მეთოდების დანერგვა; კომპეტენციებზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება; კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლების შემდგომი გაუმჯობესება; საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობის მეთოდოლოგიის შემუშავება და პროგრამების შესაფასებლად კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების დინამიკის შესწავლა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 7-წლიანი სტრატეგიული და 3 - წლიანი სამოქმედო გეგმებით..

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი 2018 წელი*

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

## 3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

თსსუ–ში აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 34–ე და 35–ე მუხლებისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 27 აპრილის #23/6 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავაებლად კონკურსის ჩატარების წესისა" და „საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტის წესის" მიხედვით. პროფესიული პროგრამის განსახორციელებლად აღნიშნული აკადემიური პერსონალიდან შერჩეულია კადრი საგნის სპეციფიკის შესაბამისად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული პროგრამის მასწავლებლების და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები, გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. პროფესიული პროგრამის განმახორცილებლები არიან თსსსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის რამოდენიმე ექთანი, შესაბამისი კვალიფიკაციით.

პროფესიული პროგრამის განხორციელებაში ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით ჩართულია 35 მასწავლებელი და ადმინისტრაციის 2 პერსონალი. ადამიანური რესურსების **მართვის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებულია დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი,** რომელიც განსაზღვრავს დასაქმებულთა კვალიფიკაციის დონეს და დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობას.

თსსუ-ში მიმდინარეობს რეესტრის წარმოება (evet.emis.ge), რეესტრში ასახულია ინფორმაცია პროფესიული პროგრამის, პერსონალის, პროფესიული მასწავლებლების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეებით;
- პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით;
- დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესით
- რეესტრით (evet.emis.ge);

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

თსსუ-ში მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის 35 აკადემიური და მოწვეული პროფესორი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა 24 აქტიური და 20 სტატუსშეჩერებული სტუდენტი. ანუ პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა პროგრამის განმახორციელებელთან არის 24/35= 1:1,5 , ანუ 1 სტუდენტზე მოდის საშუალოდ 1,5 მასწავლებელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეებით;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- CV , სადაც მითითებულია შესაბამისი განათლება და სამუშაო გამოცდილება;
- შრომის შინაგანაწესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- რეესტრის (evet.emis.ge); მონაცემებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი 2018 წელი*

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის წესი. თსსუ–ში აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 34–ე და 35–ე მუხლებისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 27 აპრილის #23/6 დადგენილებით დამტკიცებული „ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავაებლად კონკურსის ჩატარების წესისა" და „საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტის წესის" მიხედვით. პროფესიული პროგრამის განსახორციელებლად აღნიშნული აკადემიური პერსონალიდან შერჩეულია კადრი საგნის სპეციფიკის შესაბამისად. ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და დანიშვნის ბრძანებები. მოწვეულ პედაგოგებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. შრომითი ხელშეკრულებები უმეტეს შემთხვევაში არ არის გადანომრილი, ასევე არ არის დაცული სრულად საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები:

ა) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა;
ბ) სამუშაო დრო და დასვენების დრო;
გ) სამუშაო ადგილი;
დ) თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე) შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი;

*ვ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;*

*ზ) ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი*

კერძოდ, ხელშეკრულებაში არ არის ჩანაწერი:

1. ვ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის შსახებ , თუმცა რეგულირდება აკადემიური საბჭოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე ბრძანებით, კონკრეტული შემთხვევების შესაბამისად.იხ.დანართი N2.

- ინტერვიურებით დასტურდება , რომ ასეთი ანაზღაურების წესის შესახებ და დამატებითი სამუშაო საათების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება აკადემიური პერსონალის სურვილის შემთხვევაში, დაწესებულებაში დადგენილი წესის შესაბამისად.
- ვიზიტის ფარგლებში ხელშეკრულებების შეფასების ეტაპზე არ იდენტიფიცირდა პერსონალის ინფორმირების დამადასტურებელი დოკუმენტი ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის შესახებ და შიდაგანაწესში არ არის ასევე ნათლად და კონკრეტულად ასახული ეს მონაცემები, აქედან გამომდინარე რეკომენდირებულია, რომ ეს პუნქტი გაიწეროს ხელშეკრულებაში სტანდარტის შესაბამისად.
- ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დასკვნის პროექტის საფუძველზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული დოკუმენტით დასტურდება , რომ დაწესებულების მიერ არ არის ხელშეკრულებაში ასახული კონკრეტული პირობა(„ვ"პუნქტი ) და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი ,რადგან ეს ნაწილი რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსით, რომელზეც მითითებას ახდენს დაწესებულების მიერ შემუშავებული შრომითი ხელშეკრულება , ანაზღაურების ოდენობა კი დადგენილია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და ამ ინფორმაციაზე წვდომა აქვს თითოეულ დასაქმებულს - ვებგვერდზე http://new.tsmu.edu/content/2/50/12/30/0/0 „ სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრემიის, დანამატის, დახმარებისა და ფულადი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯილდოს ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის" შესახებ - მუხლი მე-5 „სახელფასო დანამატის გაცემის საფუძველი და მიზნები პუნქტებით - 5.1; 5,2; 5.3 განსაზღვრული.

2.ზ)ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობისა და შვებულების გაცემის წესის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებაში ჩანაწერი იმის შესახებ , რომ შიდა განაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ამ დოკუმენტით (მუხლი 41. „დასაქმებულის სამუშაო დრო და მისი გამოყენება", მე-5;მე-6;მე-7;მე-8; პუნქტებით) ეს ნაწილი დარეგულირებულია, შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებიდან ხელშეკრულებაში არ ასახული „ზ ' პუნქტი დაკმაყოფილებულია, თუმცა სასურველია ეს პუნქტიც, როგორც ერთ-ერთი პირობა პროფესიური სტანდარტით მოთხოვნილი, გაიწეროს ხელშეკრულებაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მოწვეული პედაგოგების შრომითი ხელშეკრულებებით;
- აკადემიური პერსონალის დანიშვნის ბრძანებებით;
- ინტერვიუირებით;
- შიდაგანაწესით.
- ვებგვერდით;
- წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 7 მარტის #23/3 დადგენილებით -„სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრემიის, დანამატის, დახმარებისა და ფულადი ჯილდოს ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის" შესახებ.

**შეფასება:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

*გთხოვთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.*

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პრაქტიკოსი ექთანი | მე-5 | პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (090552) | 150 | ქართული | თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N 33 | 50 | 50 |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 09.08.2018



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი 2018 წელი*

სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

განათლების ხარისხის განავთარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 14 ივნისის N506 ბრძანებით, 2018 წლის 2, 3 და 4 ივლისს დაგეგმილი ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

დღის წესრიგი

ვიზიტის მიზანი:

დაწესებულებების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით დადგენილი სტანდარტების შესრულების შემოწმება

| თარიღი | აქტივობა | პასუხისმგებელი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 02.07.2018 | დაწესებულების ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან შეხვედრა-გასაუბრება. | ია გელენიძე<br>მარინა გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | საჭიროების შემთხვევაში, ასევე სხვა ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება |
| | რეესტრის შემოწმება და ემისის ბაზასთან ინფორმაციის სისრულისა და სისწორის დადგენა(არსებობის შემთხვევაში) | ია გელენიძე<br>მარინა გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | |
| | საგანმანათლებლო პროგრამები (პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება) | ია გელენიძე<br>მარინა გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | პროფესიული სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამები; საგნობრივ პროფესიულ პროგრამებთან დაკავშირებული ყველა სახის დოკუმენტაციის შემოწმება |
| | ვებ გვერდის შემოწმება | ია გელენიძე<br>მარინა გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | |
| | ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება | ია გელენიძე<br>მარინა გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | ვიზიტის პირველ დღის შედეგების განხილვა |
| 03.07.2018 | შენობის დათვალიერება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. | ია გელენიძე<br>მარინა გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | ყველა სახის დოკუმენტაციისა და აქტების შემოწმება მატერიალური რესურსის სტანდარტის დაკმაყოფილების კუთხით |
| | დოკუმენტაციის შემოწმება შემოწმება (მატერიალური სტანდარტის კუთხით) | ია გელენიძე<br>მარინა გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | ყველა სახის დოკუმენტაციისა და აქტების შემოწმება მატერიალური რესურსის სტანდარტის დაკმაყოფილების კუთხით |
| | ყველა სახის დოკუმენტაციის, ბრძანებისა და პირადი საქმის შემოწმება (ადამიანური სტანდარტის კუთხით) | ია გელენიძე<br>მარინა გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | |
| | დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი ყველა დოკუმენტის შემოწმება ( მისია, სტატეგიული და სამოქმედო გეგმები, | ია გელენიძე<br>მარინა გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | მისია, ერთწლიანი გეგმა, ექვსწლიანი გეგმა, დებულებები, ინსტრუქციები, წესები და სხვ. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ბრძანებები, დებულებები, წესები და ა.შ.) | | |
| | პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება | ია გელენიძე<br>მარინა<br>გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | პირადი საქმეების და შესაბამისი ბრძანებების შესაბამისობის დადგენა |
| | საგანმანათლებლო პროგრამები (პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება) | ია გელენიძე<br>მარინა<br>გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების შესრულების მიმართულებით |
| | ექსპერტების მიერ გაწეული მუშაობის შეჯამება და დაწესებულებისთვის მონიტორინგის შედეგების გაცნობა | ია გელენიძე<br>მარინა<br>გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | ვიზიტის მეორე დღის შედეგების განხილვა |
| | ბიბლიოთეკის და საბიბლიოთეკო ფონდის შემოწმება | ია გელენიძე<br>ნატო გაბოშვილი | სილაბუსებსა და მოდულებში მითითებული ლიტერატურის და სასწავლო მასალების შესაბამისობის დადგენა |
| 04.07.2018 | გასაუბრება პედაგოგებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინსიტრაციულ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან | ია გელენიძე<br>მარინა<br>გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | |
| | შერჩევით პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება.ინტერვიურება პრაქტიკის ხელმძღვანელებთან,სტუდენტებთან. | ია გელენიძე<br>მარინა<br>გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | პრაქტიკის უზრუნველყოფის შესაძლებლობის გადამოწმება |
| | ექსპერტების მიერ გაწეული მუშაობის შეჯამება და დაწესებულებისთვის მუშაობის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებების გაცნობა. | ია გელენიძე<br>მარინა<br>გედევანიშვილი<br>ნატო გაბოშვილი | |

ვიზიტზე საჭიროების შემთხვევაში სტანდარტების შეფასების მიზნით სხვა ქმედებები

ჯგუფის წევრები:

- ია გელენიძე (ჯგუფის თავმჯდომარე)
- მარინა გედევანიშვილი (ჯგუფის წევრი)
- ნატო გაბოშვილი (ჯგუფის წევრი)

28.06.2018